საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
აგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება/Business Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/Bachelor of Business Administration
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ბადრი გეჩბაია - პროფესორი, ელ-ფოსტა: gechbaia.badri@bsu.edu.ge პაატა არუშიძე - ასოცირებული პროფესორი, ელ-ფოსტა: aroshidze.paata@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თანამედროვე ცოდნისა და პროფესიული მიდგომების გამოყენებით მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობაში, ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციებისა და ცვალებად გარემოში საჭირო ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებით; განავითაროს ბიზნეს უნარები, რომელიც კონცენტრირებული იქნება სამეწარმეო და მაკროეკონომიკური ციკლის სხვადასხვა ეტაპზე მმართველობითი ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიკაზე; შეიძინოს პრაქტიკული უნარები, რომლებიც მას მისცემს კარიერული და პიროვნული ზრდის, უნიკალური საქმიანი ურთიერთობების ფორმირების შესაძლებლობას. აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრაქტიკული უნარებით; გაიაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების, როგორც სისტემის სოციალურ-ეკონომიკური და ეთიკურ მნიშვნელობას, კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებით შეძლებს შეგროვილი ინფორმაციიდან აზრის გამოტანას, ასევე საკუთარი პოზიციის მკაფიოდ და ნათლად ზეპირი და წერილობითი სახით ჩამოყალიბებას;
სწავლის შედეგები	ბიზნესის არსებული თეორიებისა და მოდელების ფართო ცოდნის საფუძველზე ახდენს სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებას; ბიზნეს გარემოში მიმდინარე მოვლენების ახსნისათვის, კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით მოიძიებს ინფორმაციას შესაბამისი მეთოდებით; ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე მონაწილეობს ორგანიზაციის საპროექტო, ადამიანური რესურსების, ფინანსური გეგმების შემუშავებაში, მოქმედებს გუნდში ლიდერობის და/ან თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით; ეთიკური ნორმების დაცვით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მართვის უახლესი მეთოდების გამოყენებით ახორციელებს სამიზნე ჯგუფებთან სათანადო და გამართულ კომუნიკაციას წერილობით და ზეპირად. შეუძლია ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის სწორად იდენტიფიცირება, მისი მნიშვნელობის შეფასება და ანალოგიების მითითება; წინასწარი მითითებით მონაწილეობს ბიზნესის მართვის პროცესში და ახდენს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას; შესაბამისი წესით განახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელ პრაქტიკული ხასიათის პროექტს.

პროგრამა განახლებულია 01.03.2025 წ.